ოქმი:**ო02. 3725360001**

თარიღი:**26/12/2025**

ოქმი №4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2025 წელი, 26 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

10:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. აროშიძე, პ.კიღურაძე, ნ.ჭანიშვილი, ქ. კვაჭანტირაძე, ნ.გობრონიძე, დ. ხურციძე, ნ. ურუშაძე, დ. კიკვაძე, ზ. სალუქვაძე, ლ. ქვილორია.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გენო მორჩილაძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

"საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ" 2025 წლის 2 ოქტომბრს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"2025 წლის 18 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, დავით ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, "საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ" 2025 წლის 2 ოქტომბრს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"2025 წლის 18 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხზე დეტალური განმარტება გააკეთა თანამომხსენებელმა გენო მორჩილაძემ. მან აღნიშნა ,რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროექტზე თანდართული შეთანხმების შესაბამისად მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ამასთან პროექტის განხორციელება მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შემავალი სასწავლო დაწესებულებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებას

საკითხის განხილვის შედეგების საფუძველზე კომისის წევრებმა

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა - დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი